<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილიში, ნაძალადევის რაიონში აბესალომ ვეკუას ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, გაგრძელდეს აბესალომ ვეკუას ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

აბესალომ ვეკუას ქუჩა
1 : 2648
გეოგრაფიული (გრძედი,განს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032308942**
თარიღი: **30/03/2023**

ადრესატი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: წმ. ნიკოლოზის / ნ. ჩხეიძის ქ. 2

ასლი:

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

სამისამართო დეპარტამენტის უფროსს
ნინო ბახიას

ასლი: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
გიორგი აბუთიძეს

მოგმართავთ თხოვნით, ნაძალადევის რაიონში, აბესალომ ვეკუას ქუჩაზე განახორციელოთ სისტემური ნუმერაცია, განათავსოთ მისამართის აღმნიშვნელი დგარიანი აბრა და სამისამართო აბრები.

გიგზავნით აღნიშნული ქუჩის სახელდების აქტს, თანდართული რუკით.

დანართი: 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **03-032315172**
თარიღი: **31/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2023 წლის 08 მაისის საქმე #06-032312849-03 დაკავშირებით.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ აბესალომ ვეკუას ქუჩის გაგრძელების სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011763726698823

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 95421

08 / მაისი / 2023 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალაქ
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარეს ნინო ვარდოსანიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსს ბატონ გიორგი აბუთიძეს

ქალბატონო ნინო,

2023 წლის 30 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის N 03-032308942 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 79499/17) მომართვა, რომლითაც მოთხოვნილი იქნა აბესალომ ვეკუას ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია სიტუაციური რუკის სახით, ასევე მითითებულ ქუჩებზე დასანომრი ობიექტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

შეგახსენებთ, რომ უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭებისას სააგენტო ხელმძღვანელობს "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონისა და და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის № 487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით დადგენილი წესებით, რომლის თანახმად ნუმერაცია იწყება დასახლების ცენტრიდან და თანმიმდევრობით გრძელდება გარეუბნების (პერიფერიების) მიმართულებით. დასახლების ცენტრიდან ქუჩის, ჩიხის, შესახვევის მარჯვენა მხარეს არსებულ ობიექტებს ენიჭებათ კენტი ციფრი, ხოლო მარცხენა მხარეს - ლუწი ციფრი.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული იყო გეოგრაფიული ობიექტი შემდეგი სახელწოდებით: „ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ შენგელაიას ქუჩა“ (სამისამართო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედია „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის N227 განკარგულებით ნიკოლოზ შენგელაიას ქუჩას აბესალომ ვეკუას სახელი ეწოდა.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისას დადგენილ იქნა, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში არსებული ნიკოლოზ შენგელაიას ქუჩის გეოგრაფიული მოხაზულობა არ არის თანხვედრაში 2015 წლის 23 ივნისის N227 განკარგულებით განსაზღვრულ აბესალომ ვეკუას ქუჩის მოხაზულობასთან (ნიკოლოზ შენგელაიას ქუჩის ნაწილი დარჩენილია სახელდების გარეშე; იხ. დანართი №1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია, ქუჩის არსებული მოხაზულობა და იმსჯელოთ გეოგრაფიული ობიექტის გაგრძელების (ცვლილების) შესაძლებლობაზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,